სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/06

ქ. თბილისი 24 მარტი 2026

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სტუ-ის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, ლევან კერესელიძის 2026 წლის 10 მარტის №MES 7 26 0000294595 წერილის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2026 წლის 9 მარტის №0000286137 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 მარტის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერი), კანონით დადგენილი წესით, გადასცეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, უვადოდ, სარგებლობის უფლებით, ქ. თბილისი, გრიგოლ ფერაძის ქ. №4-ში მდებარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული (სადაც განთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი) 9477 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, №1-2-3, საერთო ფართობით 2915.1 კვ.მ. (ს/კ 01.72.14.013.157);

2. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე სასწავლო კორპუსის დ ფლიგელში; ფართობის დაგეგმვის (დაპროექტების) მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (იხ. დანართი);
3. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერი) დაევალოს ფართის გადაცემის სანაცვლოდ შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოსგან, კანონით დადგენილი წესით, არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობის თანხის გამოყოფის პროცედურების დაწყება;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**